ახალი გაზეთიანი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

..განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 30 ოქტომბერი №10 (8209) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

ჩვენი ერჩიენი გენერალურენ ცეკერითვილოს მომენლოს

ჩემო მიწავ!

გურამ კლდიაშვილი

ისე ცოტა მიწა გვაქვს,
საყვავილედ არ გვყოფნის...
ისე ცოტა ზეცა გვაქვს,
საფრენადაც არ გვყოფნის...
ისე ცოტა ვაზი გვაქვს,
საჭაშნიკოდ არ გვყოფნის...
ისე ცოტა წყალი გვაქვს,
დასახრჩობად არ გვყოფნის...
არა! ჩემო მიწაო, დედასავით მართალო!
არა! ჩემო ზეცაო, რწმენასავით მაღალო!
განა მართლა ცოტა გვაქვს ან მიწა
და ან ზეცა,
ჩვენს მისახედ-მოსახედს თვალითაც ვერ
დაკეცავ;
უცბად რომ გაგვივაკდეს ყველა მთა და
მაღლობი,
ზღვარი რომ წაეშალოს დაყოფილს
და დაღობილს,
ერთპირად რომ გვაქცია, ფხა გვექნება ქვიტ-
კირის,
ვერ მოგვდრეკენ ღმერთები, ვერ მოგვკლავდა
სიკვდილიც;
ცოტა ნიჭიც რომ მოგვცა
ერთმანეთის გატანის,
დასკდებოდა გულები
ორგულის და სატანის...
ჩემო მიწათ-მიწაო, უწმინდესო, მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ბროლის ხელით ნათალო!
თუ რამ წყენა მიგვიძღვის,
დაგვიბრუნე ალერსად,
ცოტა ლაქა მზესაც აქვს,
ცოტა ჩრდილი – მთვარესაც.
ვერ აგწონის – დაგწონის რა სიმდიდრეც
დაყარონ,
კათედრად გვაქვს მთაწმინდა, დარბაზებად –
სამყარო;
თუმც არასდროს ვყოფილვართ ჩვენი თავის
პატრონი,
სხვათა სჯულს და სამართალს არასოდეს
ვნატრობდით;
თუმც გვიშრობდნენ ცხრაწყაროს,
რომ არ გვეხნა, გვეთესა,
მაგრამ მოწყურებული არ ვყოფილვართ
ერთ დღესაც;
გვიძირკვავდნენ ვენახებს – გლეხის გულის
თანასწორს,
მაგრამ ღვინონაკლული არ ვყოფილვართ
არასდროს;
ტყეს გვიჩეხდნენ უსიერს,
ოდით ჟამით ჟამამდე,
მაინც გვქონდა ფილტვები დატენილი ჟანგბა-
დით;
რადგან გული ერთისა ას კაცს გულად
ეყოფა,
მიტომ სურდათ მოსრესა, მიტომ სურდათ
ხელყოფა;
რადგან მზე გვაქვს იმდენი,
არ გვეტევა სახლებში,
ჩაღვრილი გვაქვს ქვევრებში,
გამჯდარი გვაქვს ძარღვებში...
ჩემო მიწათ-მიწაო, ცოტნესავით მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ვარსკვლავივით გამთბარო!
თუ გვიბრძანებს ვარძია, თუ გელათი
დარეკავს,
დაუმხობელს დავამხობთ,
წაულეკავს წავლეკავთ,
თუ დაგვჭირდა, ძაფივით
ნემსის ყუნწში გავძვრებით,
ფეხს აიდგამს ძეგლები,
სულს ჩაიდგამს ტაძრები;
რადგან შენის დედობით
სავსენი ვართ ყელამდე,
შენს სიმცირე-სიდიდეს
შევმატოდეთ ყველანი!.

ლოგ. ჩომელოიც ჯლოჯიცსა

ქალაქობის დღის აღსანიშნავი რამ-დენიმესაათიანი ზეიმი ტერიტორიულად ორ ფართზე – მცირე და დიდ სასცენო არენებზე გაიშალა.

პირველი დაეთ-მო და განკარგეს ადგ-ილობრივი საქალაქო თუ სასოფლო კულტ-დაწესებულებების მხ-ატვრული შემოქმედებ-ის პროფესიულმა, ვარ-სკვლავოსანმა, მრავალი შიდა თუ გარე კონკურ-სისა და ფესტივლის ლაურეატმა, დიპლო-მანტმა თუ პრიზიორმა ანსამბლებმა, ჯგუფებმა, სკოლებმა, სტუდიამ...

აი, ისინი, ვინც "კასპობა – 2024"-ის მომწყობ-ორგანიზატორ-თა მიერ შედგენილი სა-კონცერტო პროგრამა მცირე სცენაზე გაა-ცოცხლეს:

– "მოურავი" - კასპის ხალხური სიმ-ღერის ვაჟთა ანსამბლი (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე),

– "რკონი" - კასპის ქორეოგრაფიუ-ლი ანსამბლი (ქო-რეოგრაფები მაკა დათაშვილი და ნინო ხუროშვილი),

– კასპის სალ-ოტბარო სკოლა (ხე-ლმძღვანელი თორნიკე მერაბიშვილი),

– "ქართლი" - კასპის ქორეოგრაფიუ-ლი ანსამბლი (ქო-რეოგრაფი ხათუნა გაგ-აძე),

– "კაბადონი" – კასპის ქალ-მომღერალ-თა ანსამბლი (ხელმძღ-ვანელი ლალი კალა-ტოზიშვილი),

– "დიდგორი" – კასპის დავით ჯავ-რიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელო-ბის სახალხო ქო-რეოგრაფიული აკადემია (სამხატვრო ხელმძღვ-ანელი ქეთევან მონა-სელიძე, ქორეოგრაფები

გაგრძელება - 2 გვ.

"კასპობა - 2024"

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, მადლობას უხდის ლაშა ზუბიაშვილს ,,კასპობის,, ამსახველი ფოტო-მასალის წარმოდგენისათვის.

ლოე. რომელიც ჯლოჯანსს

გაგრძელება დასაწყისი პირველ გვერდზე.

მარინე რუსიშვილი, დარინა პაპაშვილი და ალექსი ჯანგირაშვილი),

– "იმედი" – კასპის ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი),

– "კავთურა" – კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის ხალხურ საკრავთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ნანა შალიტაური),

– "სხვილოელნი" – ქვემო ჭალის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი),

– "თხოთი" – აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ირაკლი ქაწაშვილი),

– "მეტეხი" – მეტეხის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი),

– "ტაშარი" – ზემო ხანდაკის სასოფლო კლუბთან არსებული ტარიელ შარიფაშვილის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი შორენა მწითურიძე),

– "წინარეხი" – წინარეხის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი მანანა კვესიაშვილი),

– "მზის სხივი" – კასპის ლათინო-ამერიკული ცეკვის სტუდია (ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი),

– კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებული ხალხური სიმღერის გუნდი (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი),

– ზემო ხანდაკის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი),

– ქვემო გომის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი,

– "სიონი" – კავთისხევის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფი მანანა კვესიაშვილი)...

***

"ქართული ხმები" – კასპში პირველად!

წლევანდელი 6 ოქტომბერი შაბათუქმეს უწია. მშვენიერი დღე გამოვიდა – მზიანი და წყნარი, ისეთი, საქალაქო ზეიმს რომ შეეფერებოდა... შუადღის 16 საათია. კასპის ცენტრში, კოსტავასა და ეფრემ მეორის ქუჩების გადაკვეთაზე, მოწყობილ დიდ სცენაზე გამოჩნდნენ და საკონცერტო გამოსვლისათვის მზადება გააჩაღეს საქართველოში ცნობილი ვაჟთა ვოკალური ანსამბლის "ქართული ხმების" წევრებმა: ზურაბ ჩხაიძემ, გივი ჭიჭინაძემ, ვასილ დოლიძემ, მალხაზ თალაკვაძემ, თემურ ჭკუასელმა, ჯემალ თამაზაშვილმა, დავით კონტრიძემ, ნიკოლოზ ბერიაშვილმა და რობერტ გოგოლაშვილმა (ეს უკანასკნელი ანსამბლის ხელმძღვანელია 1992 წლიდან)... ჰო, დაიწყეს, დაიწყეს და... მერე ისეთი ერთსაათიანი კონცერტი აჩუქეს კასპელებსა და ქალაქის სტუმრებს, თქვენი მოწონებული!

"ქართული ხმები" საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანსამბლია (1996 წ.) – ამით ყველაფერია ნათქვამი! და, მაინც, კასპელები და ქალაქის იმდღევანდელი მათი გამოსვლის მხილველ-მსმენელნი აღტაცებული ხომ დაგვირჩნენ და, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, "ლაივში" დარწმუნდნენ "ქართული ხმების" სიმღერის ეროვნული თვითმყოფადობით გამორჩეულობაში, მაღალ პროფესიულ კულტურაში, მანერის თავისებურებაში. ხალხური უძველესი სიმღერების გარდა მის რეპერტუარშია ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები... კასპში ზეიმში პირველად სტუმრობისას მისმა წევრებმა შეასრულეს რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის, მამია ხატელიშვილისა დ სხვათა სიმღერები.

***

საქალაქო დღესასწაულისათვის საგანგებოდ მოწყობილი დიდი სცენა "ქართული ხმების" შემდეგ, მონაცვლეობით დაიკავეს კასპის ბენდმა და მოწვეულმა მუსიკალურმა ჯგუფებმა – "რეზო და ბავშვები", "რეგიონი". საზეიმო საღამო კი დასრულდა დიჯეის გამოსვლითა და ოქტომბრული ღამის ცის მომხატველი ფოიერვერკით.

***

სასპორტო აქტივობები

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭიდ(ილ)აო ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში გახლავთ ის ლამაზი, ტრადიციული, ეროვნული, დინამიური და ანდამატური სასპორტო სანახაობა, რომელიც მუდამ თანმდევია სახალხო დღეობებისა, დღესასწაულებისა, საზეიმო ღონისძიებებისა. ასე იყო ამჯერადაც, როცა საჭიდაო ლეიბები დაეგო "დიდი მოურავის" – გიორგი სააკაძის დიდებული ქანდაკების მაღალი პედესტალის ძირში.

აი, ისინი, "კასპობა – 2024"-ის ახალუხალი გამარჯვებულები (წონითი კატეგორიების მიხედვით):35 კილოგრამი – დავით ნადირაშვილი (კასპი), 40 – გიორგი მანჯავიძე (ქვემო გომი), 45 – საბა ბარნოვი (ახალციხე), 50 – ერეკლე მჭედელაძე (კასპი), 55 – გიორგი ჭალელიშვილი (წილკანი, მცხეთა), +55 კილოგრამი – არჩილ ხიზანაშვილი (ქვემო გომი).

(აქვე შევნიშნავთ, რომ პირველობის ყველაზე მჩატე წონის გამარჯვებულს – ქ. კასპის პირველი საჯარო სკოლის მეხუთეკლასელ მოსწავლეს, დავით ნადირაშვილს გადაეცა სპეციალური პრიზი "ლამაზი ჭიდაობისათვის", რომელიც დააწესა ახლო წარსულში ცნობილი მოჭიდავისა და მსაჯის, ვალერიან იაშვილის ვაჟიშვილმა, გიორგი იაშვილმა, ხოლო გადასცა კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების ჭიდაობის მენეჯერმა ალექსანდრე ხუციშვილმა.

გაგრძელება გვ.

ქსნისხეობელი მასწავლებელი

ოქტომბრის დასაწყისში “მასწავლებლის საერთაშორისო დღე” აღინიშნება. ქართული საგანმანათლებლო კოჰორტის მრავალრიცხოვანი ამქრის პროფესიული დღესასწაული არა მარტო ცოდნის გზაზე შემდგარი ადამიანების კუთვნილებაა, არამედ სკოლა-სწავლების გარეშე მდგომებისაც, რამეთუ თვითონ ცხოვრების გზასათავე მოდის სასკოლო და საუნივერსიტეტო მერხებიდანა და მაგიდებიდან, სკოლაში ყველას უვლია; რამეთუ ჯერ არ დაბადებულა მასწავლებელი, რომელსაც თვით არ ჰყოლია მასწავლებელი, განსწავლულობის გამწალდავი და მეჩირაღდნე, მეგზური და მრჩეველი...

მასწავლებელთა პროფესიული თარიღის აღნიშვნის თემატური გამოძახილია “ახალი განთიადის” მიერ ქვემოთ შემოთავაზებული საგაზეთო ორი პუბლიკაცია. მათში წარმოგიდგენთ და გაგაცნობთ ორ ღვაწლმოსილ და ამაგდარ პედაგოგ-განმანათლებელს, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში ფუტკარივით იმუშაკეს, იღვაწეს და იფუსფუსეს განათლების სისტემაში.

ესენი არიან ქალბატონები: დარეჯან ჭიხინაშვილი – ისტორიკოს-პედაგოგი 44-წლიანი სასკოლო გამოცდილებითა და სტაჟით სოფელ ლამისყანიდან და, მეორე მხრივ, ეთერ მერებაშვილი-ბასიაშვილისა – თბილისელი, ოღონდ, ჩვენებური პედაგოგი და მკვლევარი, ფიზიკის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ავტორი, ვისაც სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სტაჟი გააჩნია.

***

ქსნისხეობელი

ქალბატონი დარეჯანი სპეციალობით ისტორიკოსია. ამიტომ, ჩვენის მხრივ ნიშანდობლივად გამართლებული იქნება, თუ მის შესახებ საუბარს სწორედაც ისტორიული რაკურსით დავიწყებთ, ანუ მოკლე მონახაზით იმ სკოლისა, სადაც იგი დირექტორობდა და ახლაც პედაგოგობს:

ლამისყანაში, მდინარე ქსნისპირა, დასტურ, ისტორიულ სოფელში, საგანმანათლებლო პირველი კერა მე-19 საუკუნის 70-ანი წლების შუაგულ პერიოდში გაიხსნა და უკავშირდება იქაური ჯამბაკურორბელიანების საგვარეულო ოჯახის წარმომადგენელთა სახელს. იმავე საუკუნის ბოლოს იქ სახელმწიფო სკოლა დაარსდა, ხოლო ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე გადატანილიქნა ქსნის ერისთავების სასახლეში, სადაც 1986 წლამდე მოქმედებდა.

1986 წელს ლამისყანაში აშენდა სკოლის ტიპიური შენობა, მისი იმჟამინდელი დირექტორის, გიორგი ნავროზაშვილის ინიციატივით. 1977 წელს სკოლას, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ოფიციალურად მიენიჭა დიდი ქართველი პოეტის – დავით გურამიშვილის სახელი.

ლამისყანის სკოლის დირექტორები იყვნენ:

ვახტანგ მეფარიშვილი (1931-36 წლებში), ერასტი ტყაბლაძე (1936-37), ნიკო ოთარაშვილი (1937-41), ვახტანგ მეფარიშვილი (1941-43), ლევან ხუციშვილი (1943-44), გიორგი მუსხელიშვილი (1944-45), სოლიკო ციხისთავი (1945-47), ვაგან აპრელიანი (1947-48), დავით მაჭავარიანი (1948-52), იულონ ჩომახიძე (1952-53), გიორგი ბენაშვილი (1953-54), ბაგრატ მაზანაშვილი (1957-58), რუბენ ფოჩიანი (1958-80), გიორგი ნავროზაშვილი (1980-2000), ელდარ ღვინიაშვილი (2000-03), დარეჯან ჭიხინაშვილი (2003-24), შორენა წიკლაური (2024 წლიდან...).

***

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ ლამისყანაში სკოლის დირექტორობის “მამაკაცური შტო” ჩაანაცვლა ქალურმა, დედაკაცურმა და ასეა არა მარტო ამ ერთი სოფლის მაგალითზე, ჩვენი ქალაქისა და სოფლების ბევრ სკოლას დღეს მატრიარქატული კალთა იფარავს და მოსავს, რადგანაც ქალი-პედაგოგებისა და ქალი-დირექტორების შინაგანი სულიერი და ფიზიკური “მეს” ამტანობა მეტწილად და უკეთ მოერგო სასკოლო ბუნებას, სტრუქტურულ მოთხოვნებს, სიახლეთა ცვალებადობის რეჟიმს.

***

ქალბატონი დარეჯანის ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობაც ზემოთ თქმულის დასტურია (აქვე დავაზუსტებთ, რომ იგი სკოლაში კვლავაც აგრძელებს მუშაობას, უბრალოდ, სადირექტორო პორტფელი ახალგაზრდა კოლეგას გადააბარა).

და, მაინც, თუ კი ჰკითხავთ, – ეს ყველაფერი როგორ და საიდან დაიწყო, შემდგომში როგორ წარიმართა და მოიცვა სრული 44 წელი, ანდა, სადღეისოდ რა აქვს გასახსენებელი და თავმოსაწონებელი, ვინ ეიმედება და ეამაყება სახვალიოდ? – ყველაფერ ამაზე მას თვითონ აქვს საკუთარი სათქმელი:

– მე მასწავლებელი ვარ! დიახ, ესაა ჩემი ცხოვრებისეული კრედოცა და თვითმიზანიც. აი, ის კი არ ვიცი, როდიდან დაიწყო ჩემი მასწავლებლობა – სკოლიდან, უმაღლესი სასწავლებლიდან თუ... უფრო ადრე, ჯერაც ბავშვობიდან? ჰო, ალბათ, იქიდან, როცა ვთამაშობდით “სახლობანას”, “მაღაზიობანას”, “სკოლობანას”...

ახლა ვფიქრობ და ვხვდები, რომ ჩემს ცხოვრებაში ისტორია თვითონ შემოვიდა და ბუნებრივად გავხდი მისი ნაწილი, აქტიური მონაწილე, რომელსაც საკუთარი როლი დამეკისრა და არა სტატისტისა, როლზე მეოცნებე მსახიობის.

საქმეს დასაბამი მიეცა იქ, ქსნის ხეობის სანახებში. დაბა ახალგორის პირველი სკოლა დავამთავრე. მთელი ჩემი ბედნიერი ბავშვობის წლებში სკოლის ფანჯრებიდან ვუყურებდი ქსნის ერისთავების სასახლის ქონგურებსა და გალავანს. ჰოდა, ბავშვურად, გაუთვითცნობიერებლად საქართველოს ყოველგვარ და ყველანაირ წარსულს მათ ვუკავშირებდი. მახსოვს, ერთხელ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გვითხრა, – პოეტმა აკაკი წერეთელმა ლექსი “აღმართ-აღმართ” ამ სასახლეში დაწერაო... აი, ასე, თანდათან, გამიჩნდა ისტორიის უკეთა და ღრმად შესწავლის სურვილი. მოგვიანებით, მართლაც, უფრო მეტი რამ გავიგე, გავითვითცნობიერე, გავითვალისწინე და გადავწყვიტე, ისტორიკოსი გავმხდარიყავი, სურვილი მიზნად გადამექცა და გავუდექი ისტორიკოსობის დასაუფლებელ გზას.

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე (ისტორიის განხრით) და ახალბედა მასწავლებელი მოვევლინე ქართლის ულამაზეს სოფელს, ჩემს დედულეთს – ლამისყანას.

... და, აი, ახლა აღმოვაჩინე, რომ მას შემდეგ 44 წელი გავიდა. ეს ხომ უბრალოდ, წლები არ არის, ეს ხომ ლამის მთელი ცხოვრებაა – საინტერესო, რთული, ლამაზი, მძიმეცა და ტრაგიკულიც. არადა, რა მარტივად გამოითქმის და იწერება: – “44”.

ახალგაზრდული შემართებითა და ხალისით დავიწყე ჩემთვის საყვარელი საგნის მასწავლებლობა. უკვე ის მინდოდა, ჩემი მოსწავლეებისთვის შემეყვარებინა მამულდედულის ისტორია. არაჩვეულებრივი პედაგოგიური კოლექტივი დამხვდა სკოლის დირექტორის, გიორგი ნავროზაშვილის თავკაცობით. ყველა მხარში დამიდგა. მათგან ბევრი რამ გადავიღე და შევითვისე. ჩემს პედაგოგიურ ზრდაში წარუშლელი კვალი დატოვეს ლამისყანელმა პედაგოგებმა: ქალბატონებმა – გულო უსანეთაშვილმა და მარიამ თანდილაშვილმა, თამარ მუმლაურმა და ვერა ზიბროვამ; ბატონებმა – მიხეილ რამაზაშვილმა და ნოდარ ნავროზაშვილმა, თენგიზ ოსიშვილმა და ავთანდილ ბეინაშვილმა... ნათელი – მათ სულებს!

მსურს, დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო მხცოვან და ამაგდარ პედაგოგებს – მაყვალა ხაჩიძეს, მარიამ ბადაგაძეს, მერი ქართველიშვილს... მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები ამ ადამიანებისა.

მიმაჩნია, რომ მასწავლებლის ზოგადი განათლება, წიგნიერება და გამოცდილება ფასს კარგავს, თუ კეთილნერგსა და სასიკეთო შედეგს ვერ მივიღებთ, – განაგრძობს საუბარს ქალბატონი დარეჯანი და ზოგადსაგანმანათლებლო საერთო საკითხებსაც ეხება, – მე ნამდვილად გამიმართლა თაობების აღზრდაში. შევეცადე, ჩემი ნაშეგირდალები და ნამოწაფრები არა მარტო განათლებული, მცოდნე, განსწავლული, არამედ ღირსეული ადამიანებიც, საზოგადოებაში მიღებული სპეციალისტები და პროფესიულად რეალიზებულნი ყოფილიყვნენ. მხოლოდ მცირე ჯგუფს დავასახელებ: მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილი, მასწავლებლები ნინო და გვანცა ქოთოლაშვილები, მალე დიპლომატი იქნება მარიამ ბეინაშვილი... მეამაყება ჩემი დათუნა ბეინაშვილი – გამარჯვებული “ეტალონი - მოსწავლე”, სხვა პროექტის – “გამაცანი შენი სოფელი” – გამარჯვებულები: მარიამ ბეინაშვილი, დავით ბეინაშვილი, ნინი ჯამრიშვილი... ახლა რამდენი არიან ოქრო-ვერცხლისმედალოსნები და სახელმწიფო გრანტმოპოვებული მოსწავლეები!

... ჩემი თაობის პედაგოგებზე ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა. დიახ, ჩვენ უამრავი გამოწვევის წინაშე დავდექით: გასული საუკუნის 90-ანი წლების კრიზისი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა... მაგრამ იყო უდიდესი წარმატებაც – საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა... ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო მიზერულ ხელფასზე მასწავლებლების მუშაობა. მაგრამ ვის, თუ არა მასწავლებლებს, გააზრებული გვქონდა ახალი ცვლილებებისა და დროის ცვალებადობის აუცილებლობა და საჭიროება. განათლების სისტემაში რეფორმა გარდაუვალი გახდა და მისეულ გამოწვევებსაც უნდა გავმკლავებოდით.

2003 წელს ლამისყნის სკოლის პედაგოგიურმა გუნდმა ნდობა გამომიცხადა და დირექტორად ამირჩია, – ქალბატონი დარეჯანი თავისი დირექტორობის 20-წლიანი პერიოდის ერთგვარ შეჯამებაზე გადადის, – სწორედ მაშინ ჩვენმა სახელმწიფომ სკოლები გამოაცხადა საჯარო სამართლის მქონე პირებად. სწორედ მაშინ დაინიშნა დირექტორებისათვის გამოცდა. აი, ეს იყო სიახლე, სრულიად ახალი მოთხოვნებით.

აბა, როგორ არ გავიხსენო: კასპის რაიონის სკოლების დირექტორებმა წარმატებით გავართვით თავი და ახალი ტიპის მენეჯერებად მოვევლინეთ სკოლებს, რთული პროცესები გველოდა: სკოლების ოპტიმიზაცია, დამოუკიდებელი ფინანსური მართვა და სკოლების ქონების მესაკუთრედ გამოცხადება, პარალელურად ყველაფრისა – სასწავლო პროცესის სრულყოფილი მართვა და პროფესიონალი პედაგოგების მოსაზიდავად ზრუნვა. მადლობა ჩვენი რესურსცენტრის იმდროინდელ მუშაკებს, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობითა და დახ

დასასრული. იხ. გვ-4.

ჩვენებური ფიზიკოსი

შტრიხები ბიოგრაფიული პორტრეტისათვის:

ეთერ ბასიაშვილი დაიბადა 1949 წლის 2 ივნისს დაბა კასპში. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო განათლება მიიღო ქ. კასპის პირველ საშუალო სკოლაში (1956-1966 წ.წ.) – დაამთავრა წარჩინებული აკადემიური მოსწრებით (ოქროს მედალზე).

1968-1973 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტზე.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე (1973 წ.) შეუდგა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას:

1972-1975 წლები: მუშაობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში “მიონი” ტექნოლოგად;

1975-1976: ფიზიკის მასწავლებელი – ქ. თბილისის 114-ე საშუალო სკოლაში;

1976-დან ახალგაზრდა მეთოდისტი სამუშაოდ მიიწვიეს საქართველოს განათლების სამინისტროში, სადაც გაიარა რიგი სამსახურებრივი საფეხურები;

1981-2004 წლებში იყო სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის, საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის სასწავლო-მეთოდური მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი;

2006 წელი – დააფუძნა საგანმანათლებლო ორგანიზაცია “დიდაქტიკა”, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს მოსწავლეთა ოლიმპიადებსა და მასწავლებელთა ტრენინგებს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული პროგრამების მიხედვით.

***

ქალბატონი ეთერ ბასიაშვილი გახლავთ ფართო პროფილის ფიზიკოსი–პედაგოგი, დარგობრივი სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ავტორი. საკმარისია ითქვას, რომ მის კალამს ეკუთვნის 160-მდე წიგნი და ბროშურა. მისი ავტორობით გამოშვებული ნაშრომების ფართო ნუსხას თემატურად თუკი დავაჯამებთ, ასეთ ჩამონათვალს მივიღებთ:

1. პროგრამები (1989-1995 წლების პერიოდში):
ა). ფიზიკა-მათემატიკური პროფილისა (მეათე-მეთერთმეტე კლასებისათვის),
ბ). ჰუმანიტარული პროფილისა (მეათე კლასისათვის),
გ). პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის,
დ). საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის,
ე). ფიზიკური ნაკლისმქონე ბავშვთა ინტერნატებისათვის,
ვ). უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებისათვის,
ზ). ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის (მეშვიდე-მეთერთმეტე კლასებისათვის);

2. თემატური გეგმები (1986-1996 წლების პერიოდში):
ა). ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის (მეშვიდე-მეთერთმეტე კლასები),
ბ). ჰუმანიტარული პროფილისა (მეათე კლასი),
გ). პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის;

3. საგამოცდო ბილეთები:
ა). ფიზიკა-მათემატიკური სკოლებისათვის (მეთერთმეტე კლასი),
ბ). ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის (მეთერთმეტე კლასი).

***

პირველი სახელმძღვანელო წიგნი (“ფიზიკა”, მეცხრე კლასის მოსწავლეებისათვის) ქალბატონმა ეთერ ბასიაშვილმა გამოსცა 1995 წელს. საინტერესოა, რომ მისი დაბეჭდვა მოესწრო გამომცემლობა “საქართველოს” გრიფით, რომელიც უფრო ადრე “საბჭოთა საქართველოს” სახელს ატარებდა და სწორედ 1995-ში დაიხურა. აი, ახალბედა ავტორისათვის კი სახელმძღვანელოთა შექმნა-გამოცემის საქმიანი გზა წარმატებულად გაგრძელდა. რით იყო ეს განპირობებული? – მისმა მეუღლემ, ბეჟან ბასიაშვილმა, თვითონ შექმნა გამომცემლობა და მეუღლეს შეეხიდა, როგორც გამომცემელი და ასე გაჩნდა ორივეს სახელ-გვარი სახელმძღვანელოებზე (აქვე საინტერესოა ასეთი პარალელის გავლებაც: ბატონი ბეჟანი ვაჟიშვილია საქართველოში ცნობილი მოჭიდავე-მწვრთნელისა, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკისა გიორგი (გოგი) ბასიაშვილისა, ჩვენებური (კავთისხეველი) კაცისა, ვისაც სასახელო ფურცელი ჩაუწერია კასპის საჭიდაო ისტორიაში).

აღსანიშნავია, რომ ეთერ ბასიაშვილის ავტორობით შედგენილი ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და ადაპტირებულია ჩვენი ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის სკოლებში.

2017 წელს გამოცემული “ფიზიკა” (საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის), რომელიც განკუთვნილია მეშვიდედან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეთათვის, შედგენილია ეროვნული გამოცდების პროგრამის მიხედვით. სახელმძღვანელო მოიცავს თეორიულ მასალას, ტესტებს, ამოცანებსა და ამოცანათა ამონახსნებს. 430-გვერდიან სახელმძღვანელოს წარმატებით იყენებენ არა მარტო სკოლის მოსწავლეები, არამედ აბიტურიენტებიც.

***

თემატური ერთი წიაღსვლა: სწორედ იმ გამომცემლობამ, ზემოთ რომ ვახსენეთ, ჯერაც 1988 წელს გამოუშვა საინტერესო კრებული “ფიზიკოსი ქალები”. ესაა ფიზიკის ისტორიკოსების კოლექტიური ნაშრომი და მოგვითხრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალი-ფიზიკოსების ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაზე. წიგნის შემდგენელია პროფესორი ვახტანგ პარკაძე – ფიზიკისა და ფიზიკოსების ცხოვრებისეული საკითხების მკვლევარი. ხსენებულ წიგნში მან 47 ქალი-ფიზიკოსის სიაში ორი ქართველის გვარიც შეიტანა – თინათინ ასათიანისა და ნინო როინიშვილის. მათი ამაგისა და ღვაწლის თაობაზე საუბარი ჩვენი წერილის თემატიკას სცილდება, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, თუკი მომავალში გამოიცემა ფიზიკის დარგში მეტნაკლებად ნაყოფიერი კვალის შემტანი და დამტოვებელი თანამედროვე ქალი-ფიზიკოსების ბიოგრაფიული საცნობარო კრებული, მასში, უთუოდ, სათანადო ადგილი მიეკუთვნებოდა ჩვენებურ ფიზიკოს პედაგოგსა და სახელმძღვანელოების ავტორსაც – ქალბატონ ეთერ ბასიაშვილს.

***

ზემოთაც გავუსვით ხაზი ეთერ ბასიაშვილის ჩვენებურობას. დიახ, დღეს იგი თბილისური ერთი დიდი და ტკბილი ოჯახის დიასახლისია. აი, კასპისა და კასპელების ხსენებაზე, რაც დროდადრო წამოიჭრება ხოლმე სამეგობრო, სამეზობლო თუ კოლეგიალურ წრეში ყოფნისას, გული სხვანაირი, ადრინდებული, ახალგაზრდული მგზნებარებით შეახსენებს თავისი პირველი ფიზიკოსი მასწავლებლის – ეთერ ადიკაშვილის სახებას, კასპელი მეგობრების ელიზა ცერცვაძის, ლია მინდაძის, ეთერ მერებაშვილის, მანანა ყაზარაშვილის, ელიზა სოსანაშვილის, ასევე, აკაკი მინდაძის, გენადი ხაჩიძისა და სხვათა სახელებს.

ქალბატონ ეთერს უფრო მეტად უყვარს და ეძვირფასება თავისი კასპი და კასპელები, ვიდრე უწინ, ახალგაზრდობაში – კასპი და კასპელები ჩემი გულის ფეთქვაა! – ასე ბრძანებს თვითონ.

ბოლოსიტყვაობის მაგიერ:

პროვინციულ ქალაქს ცხოვრების თავისი რითმი აქვს. ეს შეუმჩნეველი სიმშვიდე განსაკუთრებულ თვითმყოფადობადობას სძენს აქ მცხოვრებთა არსებობას.

გამორჩეულ ქალაქელთა ფენომენი ძალიან მნიშვნელოვანია აქ. პროვინცია თვალის ჩინივით უფრთხილდება გამორჩენილ, გამორჩეულ, საქვეყნოდ წარმატებულ შვილებს, მთ, ვის საუკეთესობაში ეჭვი არ შეპარვია, მათი საქმით ამაყობს და სულ განაბული ელოდება ახალს.

საპატიო ქალაქელობა ბედისწერასავით არის, შეიძლება არ მოგანიჭონ, მაგრამ მშობლიურმა ქალაქმა დღენიადაგ იამაყოს შენით.

ქსნისხეობელი მასწავლებელი

დასასრული.
დასაწყ. იხ. გვ-3.

მარებით შევძელით, სოფელ ლამისყანაში შეგვექმნა სრულიად ახალი სკოლა.

ნამდვილად საინტერესო იყო ჩემი 20-წლიანი დირექტორობის პერიოდი. ცხადია, იყო წარმატებაც და იმედგაცრუებაც, მაგრამ როდესაც ბავშვების ნათელ სახესა და მოციმციმე თვალებს უყურებ, პედაგოგს არ გაქვს უფლება იმედგაცრუებულად დარჩენისა. ყოველი ახალი სასკოლო დილა ახალი იმედებით იწყებოდა და ერთნაირი შემართებით ვსწავლობდით, ვითვისებდით, ვაანალიზებდით.

მაშინ, როცა სკოლა სწავლისა და აღზრდის ერთობლიობაა, – ქალბატონი დარეჯანი პროფესიულ რეზიუმეს აკეთებს საუბრის დასრულებისას, – დირექტორი ვალდებულია, შექმნას სათანადო გარემო ყველასათვის – პედაგოგებისათვის, მოსწავლეებისათვის, მშობლებისათვის.

მიხარია და მეიმედება მრავალმხრივ: ლამისყანის სკოლას დღეისათვის ფრიად მისადაგი ქალბატონი უდგას სათავეში – შორენა წიკლაური: ენერგიული, წარმატებული და მოტივირებული სპეციალისტი.

***

ისტორია მეორდება: ქსნისხეობელი, საქართველოს ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული, დარეჯან ჭიხინაშვილი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით, მოწადინებით შედის კლასში, ამჯერად პედაგოგის როლში... ახლა ახალგორის სკოლაცა და ბავშვობაც შორსაა დარჩენილი, ეს კი სოფელ ლამისყანის სკოლაა, რომლის ფანჯრიდან ისევ და ისევ მოჩანს კავკასიონის მთები, ქსნის ხეობის კონტურები და გულისგულში იღვიძებს მძიმე საფიქრალი ძველდროებაში ჩარჩენილი მამულ-დედულისა, ძვირფასი მშობლების საფლავების მონახულების სურვილისა... ახლა ახალთაობელი გოგო-ბიჭები იყურებიან იქით და სურთ, ამოიცნონ, რა ხდება ისტორიის ლაბირინთებში, დღეს ხომ ისინი არიან დღევანდელი მამულის ისტორიის გამგრძელებლები, შემნახველები და მემკვიდრეები.

ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი

დღეს აღარავინ დაობს, რომ უძველეს დროში იღებს სათავეს ქართული ხალხური მუსიკა. იგი, ხალხის ყოფის ამსახველი და მანუგეშებელი, თავიდანვე დაკავშირებული იყო ჩვენს წინაპართა ყოფასთან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ შემოქმედებაში, როგორც სარკეში, არეკლილია ქართველი ერის უმდიდრესი ისტორია, სულიერი მისწრაფებანი, ზნეობრივი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა, პატრიოტული და გმირული შემართება.

ყოველივე ზემოთ ხსენებული აყალიბებს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ხალხური მუსიკის მიმართ.

2024 წლის სექტემბრის ბოლოსწინა დღეს ქ. კასპში გამართული ქართლური ტრადიციული სიმღერის და გალობის ფესტივალი დაიწყო ქალაქის ცენტრში აგებული წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძარში.

თვითონ ფესტივალი ტრადიციული ხასიათისაა. წელს უკვე მეხუთედ ჩატარდა (პირველად 2017 წელს). თავიდან გაიმართა ლამისყანაში, სამჯერ კი ახალქალაქში (აწინდელ მეფისქალაქში).

წლევანდელი უფრო მასშტაბური გამოდგა, თანაც, თვით ქალაქის ფარგლებში გადმოინაცვლა.

მასში მონაწილე ფოლკლორულმა ანსამბლებმა, გახსნეს რა ღონისძიების საკონცერტო პროგრამა, ურთიერთმონაცვლეობით შესრულებული საგალობლების ტკბილხმიანობით აღავსეს ტაძრის შიდა მთლიანი სივრცე და გალობა-მღერის, ჰანგები უწიეს თვით გუმბათამდე

იქაურობას თავისებურად ავსებდა ხის მაღალი ხარაჩო, რომელიც აღმართულია ტაძრის თეთრად შეფეთქილი კედლების მოსურათხატებისა და მოხატულობისათვის, რაც რომ წელს მიმდინარეობს ქალაქის ყველაზე დიდ ტაძარში.

მასშტაბურია, ზემოთ იმიტომაც ითქვა, რომ წლიდან წლამდე მატულობს ფესტივლის პოპულარობა და მნიშვნელობა.

ამჯერზე მასში მონაწილეობის პატივი კასპისავე მუნიციპალიტეტიდან სამ ანსამბლსა და ერთ პროფილურ სკოლას ერგო. აი, ისინიც:

“მოურავი” (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე),

“ქართლი” (ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი),

“კაბადონი” (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი),

კასპის სალოტბარო სკოლა (ხელმძღვანელი თორნიკე მერაბიშვილი).

საქართველოს დედაქალაქიდანა და რეგიონებიდან კასპის ფესტივალს წელს სტუმრობდნენ და თავიანთი საშემსრულებლო ოსტატობით მხურვალე ოვაციები დაიმსახურეს:

“ბოლნელა” (ბოლნისი) – ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი,

“სამზიანო” (თბილისი) – ხელმძღვანელი ელენე შუბითიძე,

“გორი” – ხელმძღვანელი გიორგი საძაგლიშვილი,

“ფესვები” (თბილისი) – ხელმძღვანელი დავით უზნაძე,

“რიხი” (გორი) – ხელმძღვანელი ზურაბ წკრიალაშვილი,

“ფერხისა” (თბილისი) – ხელმძღვანელი ნათია დათუაშვილი,

“ლომისი” (ახალგორი) – ხელმძღვანელი შალვა ილურიძე,

“ქალილო” (დუშეთი) – ხელმძღვანელი დავით ქავთარაძე,

“ამაღლება” (ჩოხატაური) – ხელმძღვანელი მალხაზ ერქვანია,

“ჩაკრულო” (თელავი) –ხელმძღვანელი ბექა ბიძინაშვილი,

ქ. თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მომღერალ-სტუდენტი გოგონებისა (ხელმძღვანელი ანა ლოლაშვილი) და ვაჟთა (ხელმძღვანელი სერგო ურუშაძე) ჯგუფები.

დასასრული. დასაწყისი იხ 1-2 გვერდზე.

***

იქვე, სააკაძის სკვერშივე, გამოვლინდნენ ყველაზე ღონიერი, ძლიერი მკლავ-მაჯის მქონე ჯეილები – კასპელი მკლავჭიდელები: ბექა ქამხაძე, დავით მაზმიშვილი, დავით ნატროშვილი და ლევან სულთანიშვილი. აბსოლუტური პირველობის საუკეთესო სამეულში კი შევიდნენ: დავით ნატროშვილი, ლევან სულთანიშვილი და ზურაბ ბერიაშვილი.

ჩემპიონ-პრიზიორებს დიპლომები, მედლები და თასები გადასცა კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა.

... საჩვენებელი პირველობები გაიმართა, აგრეთვე, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

***

მწვანე ფანჩატურებთან თუ ჩაივლიდით ...

უკლებლივ ყველა ტერიტორიული ერთეული წარმოჩენილიყო მუნიციპალური მასშტაბის სახალხო . . . . . და, თანაც, ყველა საკუთრივ მათთვის დამახასიათებელი, ისტორიული, ნიუანსური შტრიხებით, ნაირგვარი ექსპონატებითა და ფოლიანტებით, საოჯახო და სამეურნეო ნივთებითა და საგნებით; ბარაქიანი წლის სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობით, დოვლათითა და ხვავით; გამრჯე ადამიანების ხელგარჯილობითა და ნამუშაკევი ნაკეთობებით; მოსწავლე-ახალგაზრდობის სასიმღერო-საცეკვაო ნომრებითა და მათი ფუნჯის მონასმით; ჭარმაგი და დაფასებული ადამიანებითა და ასაკმცირე გოგობიჭებით...

ჩაივლიდით ქალაქის შუაგულ მოედანზე მწყობრად გაშლილ მათი მწვანე კარავ-ფანჩატურების გასწვრივ და ყველას გულთბილად მიგიწვევდნენ, მიგიპატიჟებდნენ თითო ჭიქასა და ლუკმაზე, მათი გულკეთილობა და სითბო თქვენშიც გადმოდიოდა და ნაცნობ-უცნობთა შორის ქართლური, სოფლური, მოკეთური სული ცხოველდებოდა, ზეობდა.

... აგერ, ქვემოგომელთა ფანჩატური, აბრაზე რომ არ წაიკითხოთ სახელწოდება სოფლისა, ისედაც მიხვდებით, იმდენი და იმდენგვარი დაწნული ნაკეთობანი გამოუტანიათ მტკვრის გაღმიდან. ქალბატონი ემა მამულაშვილი საოჯახო რძის ნაწარმით იწონებს თავს, შოთა ქოსაშვილი კი საკუთარი მარჯვენით დამზადებული დიდ-პატარა დოლებით. გვეუბნება, – 60 წელიწადი ჭირსა თუ ლხინში ვუკრავდი, ახლა მათ დამზადებას შევუდექით. იქვე სოსო მამულაშვილი შემოგვესწრო, ვეტერანი მეტეხელი მოჭიდავე, ვისაც დღეს თავისი სიტყვა ეთქმის კასპის სპორტში და 80 წელს გადაცილებულ მედოლე შოთას მიეფერება, – მეტეხსა და ქვემო გომში საჭიდაოებზე ამ კაცის დაკრულზე გავიზარდეო!

ხოვლელი მემუზეუმე ქალბატონი მარინე კოშაძე სიამაყით გვიჩვენებს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობაზე მოწყობილ კუთხეში უდიდესი ქართველი მეცნიერის პორტრეტსა და წიგნებს, ხოვლეგორას გათხრების შედეგად აღმოჩენილ ისტორიულ ნივთებსა და სხვა ეთნოგრაფიულ მასალებს, თექის ნიმუშებსა და ფარდაგებს, რომლებიც ძალიან ძველია და, თანაც, ხელით ნაქსოვი...

ლამისყანელების კუთხე ისედაც ადვილი შესაცნობია დავით გურამიშვილის პორტრეტით, კავთისხეველებისა – ომარ კელაპტრიშვილისა.

კოდისწყაროელებს წინა პლანზე გამოუშლიათ საჯარო სკოლის პედაგოგის მარინე კუდუხაშვილის ნაქარგები და თოჯინები, ფანჩატურის სიღრმეში კი თვალი მისწვდება საქართველოს კონტურულ რუკას, რომელზეც დატანილია ქვეყნის ყველა მხარე. იგი ერთობლივი მცდელობითა და მოწადინებით დაუმზადებიათ რენეს საბავშვო ბაღის აღმზრდელს ნინო მელაძესა და მის პატარებს.

თელიანელები შემოდგომა–24-ის ბარაქით ხელხვავიანად სტუმრებიან კასპს და მიულოციათ აქაურებისათვის ქალაქის სახელობითი დღე.

სამთავისელები თავიანთი სოფლის ისტორიულობას ძველი საცხოვრებელი სახლის მაკეტით უსვამენ ხაზს.

გვერდი-გვერდ გაწყობილ წინარეხისა და კავთისხევის ფანჩატურებთან უმალ შემოგხვდებათ 3 წლის სახეკისკისა გოგონა მატილდა წიკლაური. ის ბებოსთან, მაია კაციაშვილთან, ერთად უპირველესი დამხვდურია და თბილადაც მოგიკითხავთ, ისევე, როგორც იქაური ხელოვანი ქალბატონი მანანა იაშვილი.

ყველა აქ არის, ყველა – აღაიანელები, ახალციხელები, დოესელები, ზემოხანდაკელები, თელიანელები, მეტეხელები, მეფისქალაქელები, ოკმელები, ქვემოჭალელები...

***

ძველი ნაცნობები და ახლები

“კასპობის” ზეიმი ყოველთვის ფართო მასშტაბის საგამოფენო სივრცეა ადგილობრივი მხატვარ-ფერმწერებისა და ხელნაკეთობათა ოსტატებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისათვის... და, როგორც ახლა აღმოჩნდა, არა მხოლოდ მათთვის, რადგანაც ლეხურისპირა ქალაქის ზეიმობაში სხვებიც ჩართულან – სხვა ქალაქებიდანა და სოფლებიდან – თავიანთივე საქმიანობით, გატაცებებით, ნახელავით.

აგერ, ჩვენი ნაცნობები, კასპელი შემოქმედი ქალბატონები – თეა ქუტაშვილი, ეკა ბახტაძე, თამარ ბერიკიშვილი, სასირეთელი ონეზაშვილების საოჯახო დუეტი ... ესენი კი მცხეთელები არიან: მეყვავილე ალექსანდრე იორდანაშვილი, რომელსაც ოჯახური ოაზისი “ალექს გარდენი” პირველად ჩამოუტანია, და მხატვრობით გატაცებული მალხაზ ბედოშვილი, რომელსაც გოგო-ბიჭები სახის მოსახატავად ფუტკარივით ესეოდნენ.

***

სამრეწველო ნაკეთობათა გამოფენაზე

საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი აქტივობების გარდა, მოეწყო სარეკლამო ხასიათის განშლა-გამოფენა, სადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედმა სამშენებლო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა წარმოადგინეს საკუთარი დამღითა და ლოგოთი წარმოებული და დამშვენებული ნაკეთობანი, მასალები, პროდუქცია.

“კერამიკა ელ ტორენტე” (მენეჯერი – ზაზა ვაშაძე) – გვესაუბრება სამშენებლო მასალების მწარმოებელი ესპანურ-ქართული კომპანიის წარმომადგენელი ალექსანდრე მიქაუტაძე:

– “ესპანური კომპანია ქართული გაგრძელებით” – ერთსახად ასე ითქმის ჩვენს წარმოებაზე. საქმე ისაა, რომ “კერამიკა ელ ტორენტე” საუკუნეზე მეტი აწარმოებდა ევროპული სტანდარტის კერამიკულ აგურს ესპანეთში (ანდალუზიაში) და სარგებლობს წარმატებული რეპუტაციით ვრცელ ბაზარზე. კომპანიის მფლობელები და სპეციალისტები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ პროექტის რეალიზებაში, სააგურე ბიზნესის შთამომავლობით მეოთხე თაობას წარმოადგენენ.

ამჟამად წარმოება საქართველოში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში არსებული სააგურე თიხის კარიერებიდან მოპოვებული წიაღისეულითა და ესპანური კომპანიის თანამედროვე საწარმოო ხაზებით, დანადგარებითა და ტექნიკით აგრძელებს საქმიანობას, რაც უანალოგოა მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის მიერ წარმოებული კერამიკული აგური გამოირჩევა მდგრადობით, ყინვაგამძლეა, უძლებს მაღალ ტემპერატურას, ვერ აზიანებს ნესტი და სხვა გარემო ფაქტორები. ამით კი ინარჩუნებს პირვანდელ მდგომარეობას საუკუნეების განმავლობაში. ამასთან, გამოირჩევა მაღალი თბოეფექტიანობითა და წარმოადგენს ბუნებრივ თბოდახმასაიზოლაციო მასალას. ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროპულ თანამედროვე სტანდარტებს.

“კერამიკ ელ ტორენტე” სულ ორი წლის წინ გაიხსნა, “კასპობის” ზეიმში პირველად მონაწილეობს. ამჯერად საგამოფენოდა და საჩვენებლად წარმოვადგინეთ 4 სახეობის კერამიკული აგური.

“ფემილი ფარმი” (კავთისხევი) – გვესაუბრება მამუკა ლომსაძე, კომპანიის ტექნიკური მენეჯერი:

ჩვენი კომპანია საქართველოში მეცხოველეობის მიმართულების ერთ-ერთი მსხვილი ობიექტია. მისი წარმოებული პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია სავაჭრო ქსელი “სანტე”. უკვე მე-5 წელია, რაც მოქმედებს და თანდათან ფართოვდება. მასში 100-მდე ადგილობრივი მოქალაქეა დასაქმებული. გვყავს 800-მდე სული მეწველი ძროხა (ძირითადად დანიური “წითურის” ჯიშისა). კომპანია ფლობს 600 ჰექტარ ფართობს, სადაც იწარმოება საკვები საკუთარი ფერმისთვის. ამასთან, გამოყენებულია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. უკვე დაგეგმილია, რომ ახლო მომავალში ავაგოთ საკუთარი რძის გადამამუშავებელი ქარხანა.

“კასპობაზე” წელს პირველად გამოვჩნდით. სარეკლამოდა და საჩვენებლად გამოვიტანეთ რძის პროდუქტები და ორი ერთეული დიდგაბარიტიანი თანამედროვე ტექნიკა.

***

“კასპობა – 2024”-ზე თავიანთი პროდუქციით წარმოდგენილი იყვნენ, ასევე:

– “მეტეხის კერამიკა” (მენეჯერი დავით კაკაბაძე)), რომელიც დღეისთვის უშვებს 50-მდე სახეობის საფასადე საშენ მასალას (აგურს),

– საქართველოს ნატურალური პროდუქტების კომპანია (დირექტორი გიორგი ტყემალაძე) – გამოიტანა 10-მდე სახეობის ქარხნული ნაწარმი (სასმელები),

– მომსახურების სფეროს სერვისის კომპანია “მილ ჯორჯია” (საკონდიტრო ნაწარმი წარმოადგინა კომპანიის ბრენდულმა სახემ, მომსახურების სერვისის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა ლაშა ბოსიკაშვილმა)...

***

სტუმრები, სტუმრები...

“კასპობა – 2024”-ის ზეიმს დაესწრნენ სამხარეო ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები:

შიდა ქართლის მხარის რწმუნებული ლევან ხარაბაძე, პარლამენტის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი, პარლამენტში გორი-კასპის დელეგატობის კანდიდატი ვლადიმერ ხინჩაგაშვილი, 2024 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ გასული სასწავლო წლის შედეგებით აკადემიური წარმატებანი მიულოცა და მიესალმა მედალოსან ახალგაზრდებს. სულ დაჯილდოვდა 42 ჭაბუკი და ქალიშვილი. ასევე, წახალისდნენ ისინი, ვინც 100-პროცენტიანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე – ასეთია 11 ახალგაზრდა.

ლოდ, რომელიც ჯოჯოხეთს

გამოიწერეთ ,,ახალი გათიადი,,! გახდით ჩვენი მკითხველი!

23 ოქტომბერი – ილია ბესტავაშვილის დაბადების დღე

მხოლოდ სამშობლოს მხრიდან...

ხშირად გვისაუბრია სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, საზოგადო მოღვაწეებზე, საზოგადოდ ამ ფენომენზე ქვეყნის ცხოვრებაში. ამ საუბრების შემდეგ ათასმეერთედ ვთანხმდებოდით, რომ ერისკაცობა უმძიმესი და ურთულესი მსახურებაა და მათ გარეშე ქვეყანა ვერ ვითარდება. ასეთი რთული გზით იცხოვრა ჩვენმა მეგობარმა, სამშობლო მისი მთავარი საზრუნავი იყო. ურთულეს წლებში მხოლოდ სამშობლოს მხარეს იდგა და მზად იყო სიცოცხლეც დაეთმო საფიცარი მამულისათვის. ის არ გავდა ახალი რიგის, მართვის სადავეებთან შემთხვევით მოხვედრილ სუბიექტებს.

სამედიცინო ინტელიგენციის თვალსაჩინო ექიმი უხდებოდა ჩვენ ქალაქს, ვენდობოდით და გვიხაროდა, რომ ჩვენი ერთგული იყო.

გაზეთს 90 წლისთავი მიულოცა და საუკუნოვანი იუბილის მხარდაჭერაც აღგვითქვა...

ამონარიდი ილია ბესტავაშვილის გაზეთის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი წერილიდან:

"ჟურნალისტიკა, პრესა, პერიოდიკა მუდამ მიმაჩნდა განსაკუთრებულ ქურუმად აზრის თავისუფლების გამოხატვისა და ქართული სიტყვის "დაცვისა". ჩემმა ოჯახმა და თითქმის ყველა ახლობელმა კარგად იცის, ეს თემები ჩემთვის ისეთივეა, როგორც დედა, სამშობლო, ოჯახი, რელიგია. დედაჩემი "განთიადზე" ერთი წლით უფროსი იყო. ის იყო პირველი მასწავლებელი, როგორ მოვპყრობოდი თითო სიტყვას, რა ბრუნვით მეხმარა, სად ჩამესვა ნაცვალსახელი და როგორ გამომეყენებინა აზრის სწორად გამოთქმის მიზნით, და პუბლიცისტიკა ამისი მიღწევის შესაძლებლობის მიზნით – მან დამანახა.

"განთიადი", როგორც გაზეთი, 1967 წელს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. მე-7 კლასელი ვიყავი. რამდენიმე სტატია იმ დროინდელ "ნორჩ ლენინელში" მქონდა გამოქვეყნებული. და უცებ მომცეს დავალება – ლექსი დამეწერა ამ გაზეთისათვის რევოლუციის 50 წლისთავზე (პედაგოგებთან ვინ "ჩამიშვა", ლექსებს წერსო, დღემდე არ ვიცი). არ დაგიმალავთ და ის ლექსი, რომელიც რედაქციაში წავიდა – ჩემი და დედაჩემის ერთობლივი "წვის" ნაყოფი იყო.

იმ პერიოდიდან "განთიადს" ყოველთვის ვკითხულობდი. ის ხომ რაიონის ყველა ოჯახის განუყოფელი ნაწილი იყო. სკოლის ცხოვრების შემცველი რამდენიმე სტატია გაზეთში მეც გამოვაქვეყნე. 70-იანების დასაწყისში წასული 80-იანი წლების ბოლომდე კასპში აღარ ვცხოვრობდი. გაზეთთან ჩემი ურთიერთობები მხოლოდ ნეკროლოგების გაცნობით იყო შემოფარგლული.

1987 წელს ოჯახით დავბრუნდი რაიონში. ეს ჩემს თაობას ახსოვს: ქარტეხილების დაწყების პერიოდი იყო.

9 აპრილის მოვლენების შემდეგ გაზეთმა უფრო გაიმყარა ობიექტურობის პოზიცია და პრესის ფურცლები ე. წ. "არაფორმალებსაც" დაგვითმო. ასე აღდგა ჩემი ურთიერთობა გაზეთთან.

... და დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა. რედაქცია ცენზურის გარეშე აქვეყნებდა როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის სტატიებს და ურთავდა მართებულ კომენტარს: ეს რედაქციის აზრი არ არის – სტატიას ვაქვეყნებთ ავტორის მოთხოვნით. ეს იყო დემოკრატიის სრული ზეიმი.

გაზეთის ფურცლებზე ვკამათობდით საქართველოს ადგილზე მსოფლიო რუქაზე, იდეოლოგიაზე, ეროვნულ საკითხთა პრობლემებზე და გადაჭრის გზებზე, ცემენტის ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშაობის პრობლემებზე, ეკოლოგიურ საკითხებზე, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე; ყველაფერზე – სადაც აზრთა სხვადასხვაობა იყო. დამყარდა მეგობრული კავშირი ახალგორის რაიონული გაზეთის რედაქციასთან, სტატიებისა და თანამშრომელთა ურთიერთმეგობრული ვიზიტების გაცვლით. მოგვიანებით, როცა მე ერთი ოპოზიციური პარტიის წევრი გავხდი, ურთიერთობები შენარჩუნდა და რაიონული გაზეთის სახით ყოველთვის მქონდა ტრიბუნა მიმემართა კასპის რაიონის მოსახლეობისათვის.

გაზეთთან ჩემს ურთიერთობას ჰქონდა სხვა ასპექტიც: პოლიტიკური დისკუსიების გარდა იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები, ჩანახატები და ლექსები (რომლებიც პირველად ამ ფურცლებზე ქვეყნდებოდა). ამის გამო რედაქციას მადლობას ვუხდი.

კომპიუტერული, სატელევიზიო, რადიო სივრცეში პერიოდიკას თავისი ადგილი არ დაუკარგავს; მხოლოდ ჩვენ დავკარგეთ პრესა.

მივესალმები და ვულოცავ გაზეთს იუბილეს. მინდა, მისმა არქივმა ბოლომდე შეინარჩუნოს ერთი პატარა ქალაქის ისტორია, რათა მომავალმა იცოდეს: ნულიდან არაფერი იწყება, საქართველოს ისტორია არც 1983 წლიდან იწყება, არც 1917 წლიდან, არც 1800 წლიდან..."

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "კეხურა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფრიგინალური ფოტოები.

"ყანწობა - 2024"

ყველაფერი 2024

გახსენება

ილია ბესტავაშვილი

ილია, უკვე ათი თვე შესრულდა, მძიმე რეალობის წინაშე ვდგევართ: აღარ გვესმის შენეული გამხნევება და შეძახილი, მოგვაკლდა ტკბილი სიტყვა და მოფერება. მეგობრები როცა კი შევკრებილვართ, შენ იყავი მოთავე და ორგანიზატორი, მუდამ ჩვენს შორის ტრიალებდი და ცდილობდი, იხარჯებოდი თითოეულისა და ყველასათვის, კეთილ საქმეთა მქმნელი იყავი ჩვენთვის.

აბა, სათქმელსა და ტკბილსიტყვაობაში ვინ მოგედრებოდა. მერედა, როგორ გშვენოდა სიტყვათქმით თავმომწონეობა, პოეტური სულისკვეთება, გშვენოდა ენამჭევრობა და კონტასიტყვაობა. ამასთან, არასოდეს გავიწყდებოდა იმ ქვეყნად წასული მეგობრების გახსენება, იგონებდი დედმამიშვილებს...

ახლა შენ გიხსენებთ, ჩვენო მეგობარო. თითქმის წარმოუდგენელია, როგორ უნდა აღვნიშნოთ უშენოდ 70 წლის იუბილე, წლევანდელ ოქტომბერში რომ გისრულდება.

მეგობარო, შენ შეუდარებელი იყავი შენს პროფესიულ საქმიანობაში. კვალიფიციური ექიმისათვის ისედაც დამახასიათებელი იყო პაციენტებისადმი თანადგომა, უანგარო მხარდაჭერა და დახმარება. ათწლეულების განმავლობაში სათავეში ედექი მშობლიური ქალაქისა და რაიონის (და არა მარტო) მოსახლეობის ჯანმრთელობის სასწრაფო დახმარების სამსახურს. სამართლიანად შეგეძლო გეამაყა გამორჩეული ილია-ექიმის სახელით, გვარიშვილობითა და ოჯახიშვილობით.

შენი მოულოდნელი გარდაცვალებითა და ზეცად სულიერი ამაღლებით დიდი, ლოდივით მძიმე, ტკივილი დაგვიტოვე თითოეულ ჩვენგანს, შენს ყველა მეგობარს.

ილია, მშვიდად განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენ, ჩვენო ძმაო და მეგობარო, მუდამ გვემახსოვრები.

მეგობრები:
ნუგზარ მარქარაშვილი, კოტე ნიპარიშვილი, ნუგზარ მენაბდიშვილი, თენგიზ და თამაზ გრიგოლიები, ნიკო შაველაშვილი.

ჩვენო საყვარელო პატარებო!

დღენიადაგ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურვლიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში

ფოტო-მსტიანის შეჯამება

,,ვენმიანლი გვენთიანლი,, იძიებს ყველა ინტერესებს ფოტოებს ოთხეთის ყველგან ფოტო-მსტიანის შეჯამებლად. მოგმართავთ თხოვნით - ლაფოვეთ ოჯეული ყველი მსტიანეში! გამოგვიგზავნეთ ყველა ფოტოები!

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე გაერთიანების სპეციალისტს ზურაბ საჩალელს დედის

მერი საჩალელის

გარდაცვალების გამო.

გვმოიწერეთ "ვენმიანლი გვენთიანლი"!

გვენლით ჩვენი მეითხვეული!

რედაქცია ყველმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ყველაფერის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2024 წლის 30 აგვისტოდან - არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი.

გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 3680 სმ²; მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 1840 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ² 40 თეთრი).

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ. კასპი
საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76